წერილის ნომერი: **18-0124219238**
თარიღი: **06/08/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01242083563
წერილის თარიღი:	26 ივლისი, 2024
განმცხადებელი:	მამუკა ჩხაიძე
განაცხადის N	AR11037763
მისამართი	ქ. თბილისი, პუშკინის ქუჩა N17; დიუმას ქუჩა N30
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.18.03.018.068
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №4509591 თარიღი: 23 მაისი, 2019
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	953.0 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	მენაშენთა ამხანაგობა „პუშკინის 17“ შპს „პუშკინი ბილდერ“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: ინფორმაციული	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და

სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

ვინაიდან სამსახურის მიერ AR11037763-ზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ **არქიტექტურული პროექტის ცვლილება არ ითვალისწინებს გამწვანების პროექტის ცვლილებას, დაინტერესებულმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს სამსახურის 2022 წლის 06 მაისის #18-01221263061 წერილით.**

დანართი: 3 (სამი) ფურცელი;

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01221263061**
თარიღი: **06/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01221183858
წერილის თარიღი:	28 აპრილი, 2022
განმცხადებელი:	ზურაბი წიკლაური
განაცხადის N	AR1876927
მისამართი	ქ. თბილისი, პუშკინის ქუჩა N17; დიუმას ქუჩა N30
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.18.03.018.068
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №4509591 თარიღი: 23 მაისი, 2019
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	953.0 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	თამილა ბუზაკაშვილი მარინე ბუზაკაშვილი თანამესაკუთრეები: მენაშენთა ამხანაგობა „პუშკინის 17“ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 7 ძირი ნერგი (7 ძირი იტალიური ფიჭვი) სრულად ითვისებს კ3 (0,2) გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (142,95 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

31/07/2024

MIA 8 24 02326284

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
ძველი-თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)
ქალბატონ **თამარ მელიავას**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2024 წლის 26 ივლისის N 60-01242083564 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა N17 და დიუმას ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.03.018.068) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის არქიტექტურულ პროექტზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 13 მაისის N MIA 92201269174 წერილით გაიცა შესაბამისობის დასკვნა.

ამჟამად წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში შეტანილი კორექტირებებით გაუქმდა მინუს სართული. შემცირდა მიწისზედა სართულების სიმაღლეები. 0,00 ნიშნულებზე გათვალისწინებულია კომერციული ობიეტის გაჩენა(მაღაზია ,ბარი) ხოლო +3,10; +6,25; +9.35; +12,45; +15,55 ნიშნულებეზე გათვალისწინებულია საერთო საოფისე ფართები, ხოლო 18,70 ნიშმულზე მოწობა საკონფერენციო სივრცე. დიუმას ქუჩის მხარეს სახურავზე და საკომფერენციო სივრცის უკან მდებარე ტერასაზე განთავსდა საინჟინრო დანადგარები). არ დარღვეულა ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ შესადგენი და სამი თვის ვადაში წარმოსადგენია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტები რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა)შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ)შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
გ)შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
დ)შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
ე)შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტს;

ვ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის ელექტროდანადგარების მოწყობის პროექტს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი



